ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

ხ. კ. ადვოკატ ნ. კ.-ის წინააღმდეგ

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: ეკატერინე გასიტაშვილი

კომისიის წევრი: მარინა კვაჭაძე

კომისიის წევრი: გიორგი ქოიავა

კომისიის წევრი: დავით კაკაბაძე

კომისიის წევრი: ირაკლი შონია

კომისიის წევრი: ლაშა ტუღუში

კომისიის წევრი: ირაკლი კორძახია

კომისიის წევრი: ემზარ პაქსაძე

კომისიის წევრი: გიგა კვერენჩხილაძე

კომისიის წევრი: კობა ბოჭორიშვილი

კომისიის წევრი: დავით კვაჭანტირაძე

კომისიის წევრი: ზურაბ ძლიერიშვილი

საჩივრის ავტორი: ხ. კ.

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი: ნ. კ. /სიითი № /

საჩივრის შემოსვლის თარიღი: 01.12.2012

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. კ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2011 წლის 01 დეკემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ხ. კ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. კ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატთან ოთხ–ხუთწლიანი ნაცნობობის შემდეგ მათ შორის ჩამოყალიბდა ნდობაზე დამყარებული ურთიერთობები, რის გამოც დათანხმდა 2008 წლის ივლისის თვის პირველ ნახევარში ადვოკატ ნ. კ.-ისა და მისი მეუღლის, მ. ბ.-ის შეთავაზებას, ამერიკაში მყოფი შვილის კუთვნილი ბინის იპოთეკით დატვირთვისა და სანაცვლოდ მიღებული თანხის დაბანდებას მათ მიერ წინასწარ შერჩეულ უძრავ ქონებაში. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ადვოკატ ნ. კ.-ის განმარტებით, ყველა იურიდიულ საკითხს იგი თავად მოაგვარებდა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, იპოთეკით დატვირთა შვილის კუთვნილი ბინა და მიღებული თანხა - 10 000 ევრო, 2008 წლის 6 აგვისტოს, ადვოკატის მითითებით გადასცა ნ. კ.-ს, რომელიც წარმოადგენდა ქ. ბათუმში, დ.-ს ქ. NX–ში მდებარე უძრავი ნივთის მესაკუთრის, ნ. გ.- რწმუნებულს. განმცხადებლის მითითებით, ნ. კ.-სათვის გადაცემული თანხიდან ნ. კ.-მ და მისმა მეუღლემ აიღეს საშუამავლო თანხა 20 %–ის ოდენობით.

1.4 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მისთვის უცნობი იყო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების შინაარსი, ისე აღმოჩნდა 2008 წლის 6 აგვისტოს ქ. ბათუმში, დ.-ს ქ. NX–ში მდებარე უძრავი ქონების მეორე რიგის იპოთეკარი. ხ. კ. განმარტავს, რომ იმ დროისათვის ის არ იყო ინფორმირებული, თუ რას ნიშნავდა მეორე რიგის იპოთეკარი და რა უფლებებით სარგებლობდა ის. მოცემული ხელშეკრულების პირველი რიგის იპოთეკარს ადვოკატ ნ. კ.-ის მეუღლე, მ. ბ. წარმოადგენდა.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი 2009 წელს დაინტერესდა საკუთარი სამართლებრივი მდგომარეობით, ვინაიდან ამ დროისათვის ვერ ნახა ვერანაირი სარგებელი და აღმოაჩინა, რომ მისი უფლებები იყო შეზღუდული, რასთან დაკავშირებითაც უსიამოვნო საუბარი ჰქონდა ადვოკატთან. განმცხადებილმა ჰკითხა ადვოკატს, თუ რატომ დაუმალა, რომ მასსა და მის მეუღლესაც გააჩნდათ ინტერესი აღნიშნული უძრავი ქონების მიმართ. პასუხად ადვოკატი ხ. კ.-ს დაემუქრა, რომ თუკი ამ თემაზე საუბარს გააგრძელებდა, თანხის მიღებას ვერ შეძლებდა, ხოლო თუ დააცდიდა, არანაირი ზიანი არ მიადგებოდა. აღნიშნული საუბრის შემდეგ, ადვოკატმა ნ. კ.-მ შეადგინა საარბიტრაჟო პრეტენზია, ხ. კ.-ს მოაწერინა ხელი, გამოართვა 500 ლარი და 2009 წლის 4 მაისს, თვითონ წარადგინა კერძო არბიტრაჟში „ი. X“, რის შემდეგაც ადვოკატმა განმცხადებელს, უთხრა, რომ არანაირი პრობლემა ექნებოდა. ხ. კ.-ის განმარტებით, 2009 წლის 15 მაისს ნ. კ.-მ, როგორც კერძო არბიტრაჟის „ი. X“ არბიტრმა ზემოხსენებული საარბიტრაჟო პრეტენზია დააკმაყოფილა, რის შედეგადაც პრეტენდეტის - ხ. კ.-ის, როგორც მეორე რიგის იპოთეკარის მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

1.6 საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ აუქციონის ჩატარებისათვის საჭირო თანხა ადვოკატმა თვითონ მოიძია, ერთ კვირაში კი ამ თანხის სარგებლის სახით ადვოკატმა 600 აშშ დოლარი გამოართვა მას. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილება ადვოკატმა ბევრი კამათის შემდეგ, დაგვიანებით, მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გადასცა, ასევე ადვოკატი აწარმოებდა ყველა სამართლებრივ დოკუმენტაციას, რომელიც ინახება მასთან.

1.7 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2009 წლის 2 ივნისს, ადვოკატის მითითებით გააფორმა მის სახელზე მინდობილობა, შემდგომშიც არაერთხელ გააფორმა ასეთი მინდობილობა და ნ. კ.-ს საადვოკატო მომსახურების თანხა 3 000 აშშ დოლარი გადასცა. განმცხადებლის მითითებით, ამის შემდეგ ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო აუქციონში.

1.8 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატმა და მისმა მეუღლემ დაწერეს ხელწერილი ბ. შ.-ის წინაშე, რომლის თანახმადაც მას - ხ. კ.-ს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრა ბ. შ.-ის სასარგებლოდ თანხის გადახდა.

1.9 საჩივრის ავტორის მითითებით, მას შემდეგ, რაც გააცნობიერა ადვოკატის მიერ მისი ინტერესების საზიანოდ მოქმედება, გაუუქმა მას მინდობილობა, ხოლო შემდეგ მისი ყოფილი ადვოკატი, ნ. კ. სასამართლოში მისი მეუღლის, მ. ბ.-ის ინტერესებს წარმოადგენს ხ. კ.-ისავე წინააღმდეგ.

1.10 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ნ. კ. იყო მისი ადვოკატი, მან გაუწია შუამავლობა, მონაწილოება მიიღო მის საქმეში, როგორც არბიტრმა, გამოართვა საარბიტრაჟო და საადვოკატო მომსახურების თანხა, ხ. კ.-ის მიერ გადახდილი აუქციონისათვის საჭირო თანხების პროცენტები და აზომვითი ნახაზების გასაკეთებლად გასაწევი თანხები. განმცხადებელი უთითებს, რომ ადვოკატი მის მოწინააღმდეგე მხარეს გაურიგდა გარკვეული თანხის სანაცვლოდ.

1.11 მეხუთე დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომა შედგა 2012 წლის 01 მარტსა და 2012 წლის 26 აპრილს. საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ მასსა და მ. ბ.-ს (ნ. კ.-ის მეუღლე) ადვოკატი ერთდროულად აფორმებინებდა რწმუნებულებებს, თუმცა, მისთვის ზუსტად არ იყო ცნობილი თითეული მათგანის დანიშნულება.

1.12 საჩივრის ავტორის განცხადებით, სასამართლოში სამართალწარმოების დროს ადვოკატმა განცხადებით მიმართა სოციალური დაცვის სააგენტოს და ამის შემდეგ მას სოციალურად დაუცველი პირის სტატუსი მოუხსნეს. განმცხადებლის მოსაზრებით, ადვოკატის აღნიშნული ქმედება მიზნად ისახავდა, თავიდან აეცილებინა საჩივრის ავტორის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეუძლებლობის გზით.

1.13 საჩივრის ავტორის განმარტებით, ნ. კ. საადვოკატო მომსახურებას უწევდა ხ. კ.-ს ნ. გ.-ა და ბ. შ.-ის ქ. ბათუმში, დ.-ს ქ. #X-ში მდებარე ბინიდან გამოსახლების პროცესში.

1.14 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი სურვილი იყო ბათუმში მდებარე ბინის რეალიზაციით მომხდარიყო ყველა პირის მოთხოვნათა დაკმაყოფილება, მაგრამ ადვოკატმა ამის საშუალება არ მისცა და ბინაში რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს, რომელთა გამოსახლებაც ვერ ხერხდება მიუხედავად იმისა, რომ ხ. კ. მესაკუთრეა.

1.15 ეთიკის კომისიის სხდომაზე საჩივრის ავტორისა და ადვოკატის მიერ მორიგების სურვილის გამოთქმის გამო მათ მიეცათ დრო, მაგრამ მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა.

1.16 ეთიკის კომისიის განხილვის სხდომა შედგა 2012 წლის 26 დეკემბერს, რა დროსაც საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ ერთ დღეს ნ. კ.-მ თავისთან დაიბარა და სუფთა ფურცლებზე მოაწერინა ხელი. მან საარბიტრაჟო საქმე მოამზადა და თავისთვის დაიტოვა, ხ. კ.-ისათვის არაფერი გადაუცია. შემდეგ ამ უკანასკნელმა და ადვოკატის მეუღლემ, ნ. კ.-ის მოთხოვნით გააკეთეს რწმუნებულებები მის სახელზე, სხვადასხვა ვადით, სულ სამი რწმუნებულება. ხ. კ.-ის განცხადებით, ნ. კ. და მისი მეუღლე - მ. ბ. პირადად ვერ ეუბნებოდნენ, თუმცა, ნაცნობების მეშვეობით უთვლიდნენ, რომ ბინას დააკარგვინებდნენ. ამიტომ, ხ. კ.-მ გადაწყვიტა პროკურატურაში საჩივრის შეტანა. ამის შეტყობის შემდეგ ადვოკატის მეუღლემ სთხოვა მას, რომ არ ეჩივლა; ხ. კ.-მ ისევ მიანდო თავისი საქმე კვლავ ადვოკატ ნ. კ.-ს.

1.17 საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ აუქციონზე ნ. გ.- ბინის შესაძენად თანხა ქალბატონმა მ.-მ და ბატონმა ნ. კ.-მ იშოვნეს და რადგან ხ. კ. ძალიან ნერვიულობდა, მის სახელზე დაარეგისტრირეს უძრავი ქონება. მათვე შეადგინეს ხელწერილი, რომლის თანახმადაც ბინის 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარად გაყიდვის შემთხვევაში, ბ. შ.-ს, ნ. გ.- მევალესა და სახლის ერთ-ერთ დამგირავებელს, ხ. კ. გადაუხდიდა 5500 (ხუთი ათას ხუთასი) აშშ დოლარს. აღნიშნულ ხელწერილზე ხ. კ.-ს ადვოკატმა ნ. კ.-მ და მისმა მეუღლემ მოაწერინეს ხელი. ხ. კ. აღნიშნავს, რომ ამის შემდეგ, ბ. შ.-მ ყადაღა დაადო სახლს და მას მოუწია ბათუმის საქალაქო

სასამართლოში სიარული, ხოლო შემდეგ ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

1.18 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2010 წლის დეკემბრის ან 2011 წლის იანვრის თვეში ა ნ. კ.-მ ნ. გ.-გან მიიღო 20 000 (ოცი ათასი) აშშ დოლარი, თუმცა, მას ხ. კ.-ისათვის არაფერი მიუცია. საჩივრის ავტორი როდესაც თავად მიხვდა, რომ ადვოკატი თანხის დაბრუნებას და მის დახმარებას არ აპირებდა, მოსთხოვა საკუთარი დოკუმენტების დაბრუნება. ამის გამო, გაბრაზებულმა ცოლ-ქმარმა ხ. კ.-ს მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რის გამოც განმცახდებელმა გამოიძახა სასწრაფო სამედიცინო დახმარება, რადგან ძალიან ცუდად იყო, 6 თვე ლოგინად ჩავარდა. ხ. კ. აღნიშნავს, რომ მოგვიანებით მისთვის ცნობილი გახდა, რომ ნ. კ.-მ მის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ხ. კ.-ის საკუთრებად რიცხული უძრავი ქონების იძულებითი რეალიზაცია. სასამართლომ ნ. კ.-ის სარჩელი დააკმაყოფილა. ხ. კ.-მ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, სასამართლომ უცვლელი დატოვა გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილება ადვოკატმა ნ. კ.-მ წარადგინა კერძო აღმასრულებელთან და ხ. კ.-ის უძრავი ქონება იყიდება საჯარო აუქციონის გზით, რომელიც 31 დეკემბერს მთავრდება.

1.19 საჩივრის ავტორის განმარტებით, იგი ვერ იხსენებს რმუნებულებები კონკრეტულად რა დავალებისათვის გასცა, ვინაიდან ადვოკატი ნ. კ. მასთან საუბარში აღნიშნავდა, რომ რწმუნებულებები ხ. კ.-ის და საკუთარი მეუღლის - მ. ბ.-ის საქმეების საწარმოებლად სჭირდებოდა.

1.20 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მან წარმომადგენლობისთვის ადვოკატ ნ. კ.-ს გადაუხადა 3 000 (სამი ათასი) აშშ დოლარი. ადვოკატმა თავად წაიყვანა ხ. კ. ვინმე ლ. მირიანაშვილთან, რომლისგანაც თანხას ეტაპობრივად სესხულობდა, თუმცა, ადვოკატისათვის თანხის გადაცემის ხელწერილები ხ. კ.-ს არ აქვს. განმცახდებელმა ადვოკატისათვის თანხის გადახდა მესამე რწმუნებულების გაცემის შემდეგ შეწყვიტა.

1.21 საჩივრის ავტორის განცხადებით, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებისას, იგი უშუალოდ არ გასცნობია ტექსტს, ნოტარიუსმა ჩაიკითხა და მოაწერინა ხელი.

1.22 საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ საკუთარი ბინიდან მობინადრეები სამჯერ გამოასახლეს. პირველ გამოსახლებაზე ნ. კ. ვითომ მისი ადვოკატი იყო, თუმცა, რეალურად არ წარმოადგენდა მის ადვოკატს, უკვე დასრულებული ჰქონდა მასთან ურთიერთობა; ნ. კ.-ის ხელშეწყობით გამოსახლებული ხალხი უკან შეასახლეს, იმ პირობით, რომ ნ. გ. ოც დღეში გადაუხდიდა ხ. კ.-ს თანხას. ოცი დღეც გავიდა, ორი თვეც, სამი თვეც და 2010 წლის დეკემბრის თვეში ადვოკატის მეუღლემ დაიბარა ხ. კ. და უთხრა, რომ გ.-ვები მას ფულს აძლევდნენ. საჩივრის ავტორის განმარტებით, მეორე გამოსახლებაზე ბინაში მცხოვრები პირები გამოასახლეს, უძრავი ქონების შემძენი კლიენტიც ჰყავდა ნანახი, რომელიც 50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარს იხდიდა. გამოსახლებული ხალხი ადვოკატ ნ. კ.-ის წყალობით დარჩა ბინაში, რასაც მესამედ მოჰყვა გამოსახლება.

1.23 საჩვრის ავტორი აღნიშნავს, რომ მას ნ. კ.-მ და მისმა მეუღლემ წაართვეს მისი შვილებისა და დედამთილ-მამათილის ნაწვალები ქონება, სახლი დააკარგვინეს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ბინა სამჯერ არის იპოთეკით დატვირთული, მას მატერიალური შესაძლებლობა არ აქვს მევალისათვის თანხის გადასახდელად და სახლი ეკარგება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატის მითითებით, განმცხადებლის მიერ საჩივარში მოყვანილი გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ ხ. კ.-სა და ნ. გ.- შორის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებისას, თითქმის არ იცნობდა მეზობლად მცხოვრებ განმცხადებელს, ხოლო ხელშეკრულების მეორე მხარისა და მისი წარმომადგენლის შესახებ არაფერი იცოდა. ადვოკატის თქმით, განმცხადებელს აღნიშნული თანხის სესხებაში დაეხმარა მისივე სადარბაზოში მცხოვრები მ. დ., რომელიც თაღლითობის ბრალდებით მოთავსებულია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქალთა დაწესებულებაში. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი ახლოს გაიცნო მას შემდეგ, რაც მისმა მოვალემ, ნ. გ.მ ჯეროვნად არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა, რასთან დაკავშირებითაც ხ. კ.-მ მიმართა ადვოკატს და ამ უკანასკნელმა უანგაროდ აღუთქვა დახმარება.

2.2 ადვოკატი აღნიშნავს, რომ მან როგორც მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის თავმჯდომარემ და არბიტრმა, 2009 წლის 04 მაისს დააკმაყოფილა ხ. კ.-ის შუამდგომლობა და საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდევინების გარეშე მიიღო საარბიტრაჟო პრეტენზია წარმოებაში. ადვოკატის მითითებით, საარბიტრაჟო პრეტენზიის არსებითად განხილვის შემდეგ, 2009 წლის 15 მაისს სრულად დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, ნ. გ. - ხ. კ.-ის სასარგებლოდ დაეკისრა თანხის გადახდა და ქ.ბათუმში, დ.-ს ქ. NX–ში მდებარე უძრავი ქონება მიექცა საჯარო აუქციონზე, იძულებით სარეალიზაციოდ. ადვოკატის თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება საჩივრის ავტორს ჩაბარდა 2009 წლის 08 ივნისს და არა 2010 წელს, როგორც ის თავის საჩივარში უთითებს. ადვოკატის განცხადებით, ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა თავად ითხოვა საარბიტრაჟო მოსაკრებლისაგან გათავისუფლება და მას არბიტრაჟში თანხა არ გადაუხდია, ასევე გადაწყვეტილების დროულად ჩაბარების ფაქტი დასტურდება, ხ. კ.-ის მიერვე წარმოდგენილი საარბიტრაჟო პრეტენზიის ასლით, 2009 წლის 04 მაისის განკარგულებით, ხ. კ.-ის 2009 წლის 08 ივნისის განცხადებითა და ხელწერილით.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მის მიერ გაცემული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საფუძველზე ჩატარებული აუქციონების შედეგად, აჭარის სააღსრულებო ბიუროს 2009 წლის 18 დეკემბრის განკარგულებით, ხ. კ.-ს საკუთრებაში გადაეცა ქ. ბათუმში, დ.-ს ქ. NX–ში მდებარე სახლთმფლობელობა და ამ სახლთმფლობელობას გადაჰყვა მ. ბ.-ის პირველი რიგის იპოთეკა. ამასთან, საჯარო აუქციონზე უძრავი ნივთის შესაძენად ხ. კ.-ს თანხა სესხის სახით გადასცა მეზობელმა, მ. დ.-მ, შესაბამისად, მას საჩივრის ავტორისგან არავითარი სარგებლიანი (ე.წ.პროცენტიანი) თანხა არ მიუღია.

2.4 ადვოკატი აღნიშნავს, რომ ქ. ბათუმში, დ.-ს ქ. N X–ში მდებარე უძრავი ქონების ხ. კ.-ის საკუთრებაში გადაცემის შემდეგ, ის საჩივრის ავტორს უანგაროდ ემსახურებოდა ბათუმის საქალაქო და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში, სადაც იხილებოდა ბ. შ.-ის საჩივრები მოპასუხეების ხ. კ.-ისა და ნ. გ.- წინააღმდეგ თანხის დაკისრების თაობაზე, თუმცა, ბ. შ.-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ასევე გაუქმდა საჩივრის ავტორის, ხ. კ.-ის სახლთმფლობელობაზე დადებული ყადაღაც.

2.5 ადვოკატის განცხადებით, მან ხ. კ.-ის სახელით შეადგინა განცხადება, რომლის საფუძველზეც 2010 წლის 19 ოქტომბერს პოლიციამ ა ხ. კ.-ის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართიდან გამოასახლა უკანონოდ მცხოვრები ბ. შ. და ნ. გ.. ადვოკატი აღნიშნავს, რომ გამოსახლების ფაქტი დასტურდება ხ. კ.-ის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი პოლიციის ოქმებით.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მან არ იცოდა ხ. კ.-სა და ნ. გ.- შორის სესხისა და ქ. ბათუმში, დ.-ს ქ. NX–ში მდებარე სახლთმფლობელობის იპოთეკით დატვირთვის თაობაზე ხელშეკრულების დადების შესახებ, რაც საჩივრის ავტორმა თავისი ნებით დადო. აღნიშნული დასტურდება 2008 წლის 6 აგვისტოს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით და საჯარო რეესტრში ხ. კ.-ის მიერ წარდგენილი განცხადებით, რომლითაც მან მოითხოვა თავისი თავის აღრიცხვა მეორე რიგის იპოთეკარად.

2.7 ადვოკატის განმარტებით, 2010 წლის 20 ივლისს ხ. კ.-მ ბ. შ.-ს პირადად გაუფორმა მინდობილობა და იმავე დღეს მათ შორის გაფორმდა შეთანხმება, რომელზეც მან მოაწერა ხელი. ამ შეთანხმების საფუძველზე, ბ. შ.-ს უნდა მოენახა ქ.ბათუმში, დ.-ს ქ.N X–ში მდებარე სახლთმშენებლობის მყიდველი, ამისთვის კი იგი მიიღებდა შესაბამის გასამრჯელოს. თუმცა, ბ. შ.-მ პირობა ვერ შეასრულა და ხ. კ.-თან დაიწყო დავა თანხის გამოძალვის მიზნით. ამასთან, ადვოკატი აღნიშნავს, რომ ბ. შ.-სთან ხ. კ.-ს თავად ჰქონდა ურთიერთობა და მანვე გასცა მინდობილობა ბ. შ.-ზე.

2.8 ადვოკატი აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მისი მეუღლის, მ. ბ.-ის სარჩელი მოპასუხეების, ნ. გ. (გ.-ს) და ხ. კ.-ის მიმართ სესხის თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შესახებ. ამასთან, აღნიშნულ დავაში, ადვოკატი ნ. კ. იცავდა თავისი მეუღლის, მ. ბ.-ის ინტერესებს და ხ. კ.-ის მხრიდან დავის წაგებამ გამოიწვია განმცხადებლის დიდი აგრესია ადვოკატის მიმართ. ადვოკატის განმარტებით, 2011 წლის 27 მაისამდე, მ. ბ.-ის მიერ სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე, მ. ბ.-ს ხ. კ.-თან არანაირი დავა ჰქონია და ისინი პროცესუალური მოწინააღმდეგეები არასდროს ყოფილან. ამასთან, 2009–2010 წლებში ის რწმუნებულებების საფუძველზე, სხვა პირებთან მიმართებაში იცავდა ხ. კ.-ის, არა როგორც კლიენტის ინტერესებს, არამედ როგორც გაჭირვებულ ადამიანს, მეზობელს და თან სრულიად უანგაროდ.

2.9 ადვოკატის მითითებით, ხ. კ.-ს მომსახურების სანაცვლოდ მისთვის არანაირი თანხა გადაუხდია და იგი საჩივრის ავტორს მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ეხმარებოდა.

აგრეთვე, ხ. კ.-ის მიერ გაცემული რწმუნებულებების ვადა შეადგენდა 2 კვირიდან 2 თვემდე. სხვა შემთხვევაში კი, როდესაც სასამართლოებში საქმეთა განხილვები თვეობით ჭიანურდება, საჩივრის ავტორს ნ. კ.-სთან, როგორც ოფიციალურ წარმომადგენელთან უნდა გაეფორმებინა მინიმუმ ერთწლიანი ან სულ მცირე ექვსთვიანი რწუნებულება, რასაც ხ. კ.-ის მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

2.10 ადვოკატი აღნიშნავს, რომ მან 2011 წლის დასაწყისში ხ. კ.-თან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა, ამიტომ საჩივრის ავტორის მიმართ ვალდებულებები აღარ გააჩნია და იგი მოქმედებს კანონისა და ზნეობის ნორმების შესაბამისად.

2.11 მეხუთე დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომა შედგა 2012 წლის 01 მარტსა და 2012 წლის 26 აპრილს. ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ მის მიერ 2009 წლის 15 მაისს მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში ის ხ. კ.-ის ინტერესებს, როგორც ადვოკატი, არ იცავდა და მათ შორის სააღსრულებო წარმოების ეტაპზე ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა არ წარმოშობილა.

2.12 ადვოკატი რწმუნებულებებთან დაკავშირებით განმარტავს, რომ ის უანგაროდ და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ეხმარებოდა მის მარწმუნებელს. რწმუნებულებები გაიცა ბ. შ.-სთან დავის პროცესში: პირველი, ორკვირიანი რწმუნებულება - 2010 წლის 27 მაისს, ხოლო მეორე ორთვიანი რწმუნებულება - 2010 წლის 01 ივლისს. ამის შემდეგ, ხ. კ.-ს მისთვის რწმუნებულება საერთოდ აღარ მიუცია და 2010 წლის 01 სექტემბრიდან ის მისი ადვოკატი აღარ იყო.

2.13 ადვოკატის განცხადებით, აღნიშნულის შემდეგ ხ. კ.-ს რამდენჯერმე დაეხმარა უანგაროდ. კერძოდ, დააწერინა განცხადებები და საკუთარი მანქანით დაჰყავდა ქ. ბათუმში, დ.-ს ქ. #X-ში მდებარე მისი კუთვნილი ბინიდან ნ. გ.-ა და ბ. შ.-ის გამოსასახლებლად, რაც პოლიციის მეშვეობით კიდეც განხორციელდა. გამოსახლება გაფორმდა, მაგრამ სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე გ.-ები დროებით დარჩნენ და ბინაში ცხოვრება განაგრძეს.

2.14 ადვოკატის განმარტებით, 2011 წლის 27 მაისს მისი მეუღლის მიერ აღძრულ სარჩელზე, სამოქალაქო დავის მხარეები, დავის საგანი და საფუძველიც სრულიად სხვაა, ვიდრე მის მიერ 2009 წლის 15 მაისს განხილულ-გადაწყვეტილი ხ. კ.-ის საარბიტრაჟო დავა მოპასუხე ნ. გ.-თან და 2010 წელს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე ადმინისტრაციული დავა ბ. შ.-ის სარჩელთან დაკავშირებით მოპასუხე - ნ. გ.-, ხ. კ.-ის და აჭარის სააღსრულებო ბიუროს მიმართ, რომელიც საბოლოოდ განუხილველად იქნა დატოვებული. შესაბამისად აღნიშნული საქმეები ვერ ჩაითვლება ,,ერთი და იგივე საქმედ“.

2.15 ადვოკატის განმარტებით, მისმა მეუღლემ სოციალური მომსახურების სააგენტოში დაწერა განცხადება, რის საფუძველზეც შეიცვალა ხ. კ.-ისათვის მინიჭებული ქულები და მას მოუხსნეს სოციალურად დაუცველი პირის სტატუსი.

2.16 ადვოკატმა ნ. კ.-მ 2011 წლის 15 მარტს, 2011 წლის 21 მაისსა და 2012 წლის 07 აგვისტოს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა განცხადებები დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ,

რომელთა თანახმადაც ადვოკატმა არ გაიზიარა საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ. ადვოკატის განმარტებით, მას არ დაურღვევია ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი, ვინაიდან 2009 წლის 15 მაისს მის მიერ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების საქმეში მას საადვოკატო მომსახურება არ განუხორციელებია. ყველა საპროცესო მოქმედება განახორციელა საჩივრის ავტორმა. ადვოკატის განმარტებით, ასეთ მტკიცებულებად ვერ გამოდგება ხ. კ.-ის საჩივარზე დართული და სანოტარო წესით დამოწმებული მისივე განცხადება, რომლიდანაც მხოლოდ ის ირკვევა, რომ 2009 წლის 31 ივლისს, ხ. კ.-მ განცხადებით მიმართა ქ. თბილისის ნოტარიუს თამარ ონიანს და 2009 წლის 02 ივნისს გაცემული რწმუნებულების გაუქმება მოითხოვა. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნულ განცხადებაში მისი სახელი და გვარი საერთოდ არ არის ნახსენები და ხ. კ.-ის განცხადებასა და მასში მოხსენიებულ რწმუნებულებას მოცემულ საქმესთან არანაირი შემხებლობა აქვს. ადვოკატის განცხადებით, 2010 წლამდე ხ. კ.-ს მისთვის რწმუნებულება არ მიუცია და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში მისთვის ადვოკატობა არ გაუწევია.

2.17 ადვოკატის განმარტებით, მას არ დაურღვევია ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი, ვინაიდან საარბიტრაჟო პრეტენზიის განხილვაში მონაწილეობდა, როგორც არბიტრი და არა როგორც ადვოკატი. გადაწყვეტილების აღსრულების პერიოდში ანუ 2009 წლის 08 ივნისიდან - 2009 წლის 18 დეკემბრის ჩათვლით, ხ. კ.-ს მისთვის რწმუნებულება არ მიუცია. ხ. კ., როგორც კრედიტორი თავად მონაწილეობდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში და თვითონვე შეიძინა აუქციონზე გამოტანილი უძრავი ქონება. შესაბამისად, სააღსრულებო წარმოების ეტაპზე მასსა და ხ. კ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა არ წარმოშობილა.

2.18 ადვოკატი აღნიშნავს, რომ კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმავე საქმეზე და არა ზოგადად, უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის ინტერესთა კონფლიქტი არსებობს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ 2011 წელს მისი მეუღლის - მ. ბ.-ის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში აღძრული სამოქალაქო სარჩელის მხარეები, დავის საგანი და საფუძველი სრულიად სხვაა, ვიდრე 2010 წელს ბათუმის საქლაქო სასამართლოს მიერ განუხილველად დატოვებული ბ. შ.-ის ადმინისტრაციული სარჩელისა. მითითებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან არანაირი კავშირი არა აქვს მის მიერ 2009 წლის 15 მაისს განხილულ საარბიტრაჟო საქმეს ხ. კ.-სა და მოპასუხე ნ. გ.- შორის. მით უმეტეს, რომ მის მიერ 2009 წლის 15 მაისს გამოტანილი გადაწყვეტილება იმავე 2009 წელს აღსრულდა. ეთიკის კომისიის წევრებმა ერთმანეთთან გააიგივეს ცნებები ,,ერთი და იგივე საქმე" და ,,ერთი და იგივე უძრავი ნივთი." ამის შედეგად, კომისიამ ეთიკური ქცევის იმაზე მაღალი სტანდარტი განუსაზღვრა, ვიდრე ეს ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსითაა დადგენილი. შესაბამისად, მის

მიმართ უსაფუძვლოდ აღიძრა დისციპლინური დევნა. ,,ერთი და იგივე უძრავი ნივთი“-ს მიზეზით ადვოკატის ან პროცესის სხვა მონაწილის (მაგალითად მოსამართლის) საქმიდან აცილების დაწესება, თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ადვოკატს ან მოსამართლეს, რომელმაც ერთხელ უკვე მიიღო მონაწილეობა სასამართლო დავაში რომელიმე უძრავ ნივთან დაკავშირებით, უნდა აეკრძალოს სხვა დროს და სხვა პირებს შორის იმავე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით მიმდინარე სასამართლოს დავაში მონაწილეობის მიღება, რაც გაუმართლებელია. სწორედ ამიტომაა, რომ კანონი და ეთიკის კოდექსი კრძალავს ერთსა და იმავე საქმეზე და არა ერთსა და იმავე უძრავ ნივთან დაკავშირებით საადვოკატო ფუნქციების განხორციელებას სხვადასხვა ანუ მოწინააღმდეგე მხარეების სასარგებლოდ, რაც მას არასდროს ჩაუდენია.

2.19 2012 წლის 26 დეკემბერს ეთიკის კომისიის განხილვის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ ზარალი არის ის, რომ ხ. კ. არის იპოთეკის საგნის მესაკუთრე, მეტი ზარალი მას არ განუცდია. 2008 წლის 30 ივლისს შუამავალ მ. დ.-ს მეშვეობით მისმა მეუღლემ - მ. ბ.მ გააფორმა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება ბათუმში მცხოვრებ ნ. გ.-თან. 2008 წლის 6 აგვისტოს ხ. კ.-მ სანოტარო წესით გააფორმა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება ნ. გ.-თან, ასევე მ. დ.-ს შუამავლობით. ხ. კ.-მ თვითონვე წარადგინა განცხადება საჯარო რეესტრში და დარეგისტრირდა მეორე რიგის იპოთეკარად. 2008 წლის 6 აგვისტოს დროისათვის ის არ იცნობდა არც ქალბატონ ხ. კ.-ს და არც ნ. გ.-. ნ. გ.მ მის მეუღლეს მხოლოდ ერთი თვის პროცენტი გადაუხადა. როცა საქმე გართულდა, ხ. კ. მივიდა მათთან და მეუღლემ სთხოვა ხ. კ.-ს დახმარებოდნენ, ხ. კ. საარბიტრაჟო პრეტენზიას შეიტანდა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ ნებისმიერი საქმიანობა მოგებაზეა ორიენტირებული და არავის ეხალისება სხვისთვის უფასოდ მომსახურება. ადვოკატი აღნიშნავს, რომ ხ. კ.-ისათვის დახმარება გადაწყვიტა, რადგან მეზობელი იყო და შეეცოდა, თან ქალბატონს ფული არ ჰქონდა.

2.20 ადვოკატის განმარტებით, საარბიტრაჟო პრეტენზია შეადგინა ხ. კ.-მ, სადაც ითხოვდა ბაჟისგან გათავისუფლებას, რაც დაუკმაყოფილა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით საარბიტრაჟო პრეტენზია დაკმაყოფილდა, რადგან მოთხოვნა სამართლებრივად სწორი იყო და ნ. გ.- დაეკისრა 10 000 (ათი ათასი) ევროს გადახდა ხ. კ.-ის სასარგებლოდ. ასევე, ნ. გ.- ყოველი ვადაგადაცილებული თვისთვის უნდა გადაეხადა პირგასამტეხლო 30 (ოცდაათი) ევრო 2009 წლის 1 იანვრიდან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებამდე. ხ. კ.-ის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით სარეალიზაციოდ მიექცა იპოთეკის საგანი.

2.21 ადვოკატის განმარტებით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში მას, როგორც ადვოკატს, მონაწილეობა არ მიუღია. ის, მხოლოდ როგორც მეზობელი ისე ეხმარებოდა ხ. კ.-ს. ამ მიზნით ის, თავისი მეუღლე და მ. დ. საკუთარი მანქანით წაიყვანა ბათუმში. იქ ჩატარდა აუქციონი და ხ. კ. გახდა უძრავი ქონების მესაკუთრე.

2.22 ადვოკატის განმარტებით, როდესაც ხ. კ.-მ მიმართა საარბიტრაჟო პრეტენზიით, მისთვის ცნობილი იყო, რომ შეიძლებოდა ამავე მოპასუხის მიმართ მის მეუღლესაც გასჩენოდა მოთხოვნა, თუმცა, იმ დროისათვის რომ ევარაუდა, რომ შემდეგ მისი მეუღლე და ქალბატონი

ხ. კ. შეიძლება გამხდარიყვნენ მოდავეები, ის ქალბატონ ხ. კ.-ს არანაირ რჩევას არ მისცემდა. საარბიტრაჟო პრეტენზიის შეტანის დროს პირველი რიგის იპოთეკარის მიმართ ვალდებულებები შესრულებლი არ იყო. ადვოკატი აღნიშნავს, რომ იმისათვის, რომ ხ. კ. არ დარჩენილიყო ეჭვების ქვეშ, ამიტომ გადაწყდა უძრავი ქონების მესაკუთრედ მისი რეგისტრაცია. ასევე, ზეპირი შეთანხმებით გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ ნ. გ.ც არ დაეტოვებინათ ღია ცის ქვეშ, რადგან ავადმყოფი ქალი იყო და ადამიანურად ეცოდებოდათ. 2009 წლის 18 დეკემბერს ხ. კ. გახდა ბინის მესაკუთრე და ამით დამთავრდა არბიტრაჟის და აღსრულების საკითხი, მაგრამ ნ. გ. ბინაში ცხოვრებას აგრძელებდა. ნ. გ.მ 5000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარი გამოართვა ბ. შ.-ს, ყოველგვარი დოკუმენტის გარეშე და შეუშვა ბინაში საცხოვრებლად. ადვოკატის განმარტებით, მას რომ სცოდნოდა მოვლენები როგორ განვითარდებოდა და რა სახის პრობლემები წარმოიქმნებოდა, ის ხ. კ.-ის გვერდით არ დადგებოდა. შემდეგ ეტაპზე წარმოიშვა ბ. შ.-ის გამოსახლების პრობლემა. ბ. შ.-მ აიყვანა ადვოკატები და ყადაღა დაადეს ბინას. ხ. კ.-ს პრობლემა წარმოექმნა ბინის რეალიზაციასთან დაკავშირებით; ქალბატონმა ნ. კ.-ს მისცა რწმუნებულება და მან, როგორც ხ. კ.-ის წარმომადგენელმა, მონაწილეობა მიიღო დავაში, სადაც ბ. შ. აუქციონის ბათილად ცნობას ედავებოდა მის მარწმუნებელს, ნ. გ.- და აღსრულების ეროვნულ ბიუროს. ეს სარჩელი განუხილველი დარჩა და ხ. კ. არ დაზარალებულა მისი მოქმედებით. ადვოკატის განმარტებით, ის ხ. კ.-ს ასევე მოემსახურა ყადაღასთან დაკავშირებით, წაყვა აჭარაში, ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და მოახსნევინა უძრავი ქონების უზრუნველყოფის ღონისძიება - ყადაღა.

2.23 ადვოკატის განმარტებით, როდესაც ადვოკატი საქმეზე იღებს პასუხისმგებლობას, ის ბოლომდე უნდა მიიყვანოს. მათ შემთხვევაში ეს არ იყო ადვოკატისა და კლიენტის კლასიკური ურთიერთობა, ვინაიდან ხ. კ. ნ. კ.-ს რწმუნებულებას მაშინ უფორმებდა, როდესაც მისი დახმარება სჭირდებოდა. ადვოკატის განმარტებით, ხ. კ.-საგან 2009 წლის 2 ივნისს მინიჭებული რწმუნებულების საფუძველზე არანაირი მოქმედება არ ჩატარებულა. ადვოკატის განმარტებით, ვარაუდის დონეზე შეუძლია თქვას, რომ როდესაც აჭარაში მიჰყავდა ქალბატონები პირველი რწმუნებულება შეიძლება მაშინ გააკეთებინა ხ. კ.-ს. 2010 წლის 27 მაისის ორკვირიანი რწმუნებულებისა და 2010 წლის 1 ივლისის ორთვიანი რწმუნებულების გაფორმება ემსახურებოდა ბ. შ.-სთან დავაში ხ. კ.-ის ინტერესების დაცვას.

2.24 ადვოკატის განცხადებით, ის ქალბატონ ხ. კ.-ს დაეხმარა განცხადების შედგენაში, რომლის საფუძველზეც ბინიდან გამოასახლეს ნ. გ. და ბ. შ.. იმის გათვალისწინებით, რომ ხ. კ. თბილისში ცხოვრობდა და არსებობდა საშიშროება, რომ ეს ბინა განადგურებულიყო, გამოსახლებულებმა სთხოვეს, რომ დროებით დარჩებოდნენ ბინაში და მანამდე იქნებ გაეყიდათ ბინა. ამ ხალხმა პირობა არ შეასრულა. ხ. კ. 2009 წლის დეკემბერში გახდა მესაკუთრე და 2010 წლის ივნისი ისე მოვიდა, ბინაში ისევ ბ. შ. ცხოვრობდა; ეს უკანასკნელი ხ. კ.-ისაგან ითხოვდა ნ. გ.-სთვის მიცემული 5000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარის გადახდას. ადვოკატი აღნიშნავს, რომ აუხსნა მათ, რომ აზრი არ ჰქონდა ამ მოთხოვნას და შესთავაზა, რომ ხ. კ. გადაუხდიდა 5000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარსაც და სამაკლერო თანხასაც, თუ ის იპოვიდა სახლის მყიდველს. ამ პირობით შედგა ხელწერილი, რომლის თანახმადაც, თუ ბ. შ.

ბინას გაყიდიდა 2010 წლის დეკემბრამდე მიიღებდა თანხას სრული ოდენობით, ხოლო თუ დეკემბრის მერე გაყიდიდა, მიიღებდა ნაკლებ თანხას. ბ. შ.-ს არაფერი გაუკეთებია და შემდეგ ამ ხელწერილის საფუძველზე დაუწყო ხ. კ.-ს დავა, თითქოს ნ. გ.-სთვის ბ. შ.-ის მიერ მიცემული თანხა ხ. კ.-ს უნდა გადაეხადა. საბოლოო ჯამში საქმე ისე დამთავრდა, რომ ნ. გ.მ სახლში სხვა მდგმური შეუშვა, მას გამოართვა ფული და ბ. შ.-ს დაუბრუნა თავისი ფული.

2.25 ადვოკატის განმარტებით, ბოლო განცხადება, რომელიც მან ხ. კ.-ის სახელით შეადგინა დათარიღებულია 2011 წლის 21 იანვრით და ეხება ბინაში მცხოვრები პირების გამოსახლებას. გამოსახლებისას ხ. კ.-მ პოლიციელებს განუცხადა, რომ განცხადება მისი ადვოკატის მიერ იყო შედგენილი და თავად არაფერი იცოდა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ პოლიციის თანამშრომელმა დაურეკა და ჰკითხა ამის შესახებ, მან კი უპასუხა, რომ ისე მოქცეულიყვნენ, როგორც ხ. კ. გადაწყვეტდა. პოლიციამ არ გამოასახლა იქ მცხოვრები პირები. მეოთხე წელია, რაც საჩივრის ავტორი სახლის მესაკუთრეა.

2.26 ადვოკატის განცხადებით, 2011 წლის 30 ივლისს მისი მეუღლის იპოთეკის ვადა გადიოდა, მაგრამ 2008 წლის სექტემბრიდან მოყოლებული არანაირი თანხა არ ჰქონდათ მიღებული. ამ დროის განმავლობაში ელოდებოდნენ, რომ მეორე რიგის იპოთეკარი, რომელიც უძრავი ქონების მესაკუთრე გახდა, გაყიდიდა ბინას და ისინიც მიიღებდნენ კუთვნილ თანხას. ადვოკატი აღნიშნავს, რომ ცილისწამებაა იმის განცხადება, თითქოს ნ. გ.მ, ბინის ახალი მესაკუთრის გვერდის ავლით, მის მეუღლეს გადაუხადა იპოთეკის თანხა. 2011 წლის იანვრიდან მან ყველანაირი ურთიერთობა გაწყვიტა ხ. კ.-თან. ადვოკატის მეუღლემ - მ. ბ.მ მაისის ბოლოს აღძრა სარჩელი მოვალე ნ. გ.- და ხ. კ.-ის წინააღმდეგ, რადგან ხ. კ. ბინის ახალი მესაკუთრე იყო. ადვოკატის განმარტებით, 2011 წლის ივნისიდან თუ ივლისიდან იყო საკუთარი მეუღლის წარმომადგენელი ხ. კ.-ის წინააღმდეგ ინიცირებულ დავაში. სარჩელი იყო დასაბუთებული, გაიარა სააპელაციო ინსტანცია და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, გამოცემულია სააღსრულებო ფურცელი. ადვოკატის განცხადებით, მას როგორც არბიტრს არანაირი მონაწილეობა არ მიუღია გადაწყვეტილების აღსრულებაში და მიაჩნია, რომ ორ სრულიად სხვადასხვა დავაში სხვადასხვა პირები იყვნენ ჩართული. ადვოკატის განმარტებით, ბ. შ.-სთან დაკავშირებულ დავაში მან ხ. კ.-ის ინტერესები წარმატებით დაიცვა. მას შემდეგ, რაც მათ ურთიერთობა აღარ ჰქონდათ, არც რწმუნებულება აღარ ჰქონდა და ბუნებრივია ვერ მივიდოდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში და ვერ წაიღებდა გადაწყვეტილებას საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად. სახლს ადევს სამი ყადაღა, ორი ბ. შ.-ის და ერთი მ. დ.-სი, რომელიც შუამავლის სახით მონაწილეობდა საქმეში. ადვოკატი აღნიშნავს, რომ ის და ხ. კ. მტრები გახდნენ მას შემდეგ, რაც მისმა მეუღლემ მოინდომა თავისი ინტერესების დაცვა, მან არ აიყვანა სხვა ადვოკატი და თავად წარმოადგინა მისი მეუღლე.

2.27 ადვოკატი აღნიშნავს, რომ არ ახსოვს როდის დაიწყო აღსრულება, მაგრამ სააღსრულებო წარმოებაში მონაწილეობა არ მიუღია და არც სააღსრულებო წარმოების დოკუმენტებზე მოუწერია ხელი.

2.28 ადვოკატის განმარტებით, 2008 წლის 6 აგვისტოს, როდესაც სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება გაფორმდა ის ხ. კ.-ს არ იცნობდა. შემდეგში მას განუმარტა, თუ რას ნიშნავდა მეორე რიგის იპოთეკარის სამართლებრივი სტატუსი, რადგან 2009 წელს მის მეუღლეს რომ დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა, უძრავ ქონებას ხ. კ.-ის იპოთეკა ჩამოსცილდებოდა. სამართლებრივი სტატუსი ხ. კ.-ს მაშინ გააცნო, როდესაც ხ. კ. ადვოკატთან მივიდა და ეს უკანასკენლი დოკუმენტაციას გაეცნო. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც საქმე გართულდა და ნ. გ. ფულს არ იხდიდა, მან ჩახედა საქმის მასალებს, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერს. ნ. გ.- სახელზე ირიცხებოდა 76 კვ. მ. მიწის ნაკვეთი, რომელზეც აღმართული იყო 130 კვადრატული მეტრი შენობა-ნაგებობა. ამ ფართობში 10 000 (ათი ათასი) ევროს და 14 500 (თოთხმეტი ათას ხუთასი) ევროს ჩადება მიზანშეწონილად არ მიიჩნია, მაგრამ ეს იყო ქალბატონების ინიციატივა. ადვოკატის განმარტებით, ის 2009 წლიდან გაეცნო პირველად დოკუმენტაციას და უთხრა კიდეც თანხა რაში ჰქონდათ ჩადებული. ადვოკატი აღნიშნავს, რომ ხ. კ.-ისთვის მისი სამართლებრივი სტატუსი თავიდანვე, ადვოკატთან გასაუბრებამდეც იყო ცნობილი, ვინაიდან სესხისა და ოპითეკის ხელშეკრულების გაფორმების დროს, პირველი იპოთეკა უკვე რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში, სადაც ჩანს იპოთეკების რიგითობა. ასევე არსებობს ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი, რომელზეც ხ. კ. აწერს ხელს.

2.29 ადვოკატის განმარტებით, საკუთარი მეუღლის ინეტერესების დაცვის გამო გადაეკიდა ხ. კ. მტრად. სახელშეკრულებო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა გადიოდა და ნ. კ. და მისი მეუღლე იძულებულები იყვნენ სარჩელით მიემართათ სასამართლოსათვის. რაც შეეხებოდა ბ. შ.-სთან ხელწერილს, ბათუმიდან მოუვიდა სასარჩელო განცხადება, რაზეც ხ. კ.-მ შესაგებელი არ შეიტანა და იმიტომ გამოიტანეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ადვოკატმა ხ. კ.-ს უთხრა, რომ რადგან მისი ადვოკატობა არ მოსწონდა და მისი სიკეთე ვერ დაინახა, ღმერთს ხელი მოემართა და 2011 წლის დასაწყისში მასთან ურთიერთობა გაწყვიტა. ადვოკატი განმარტავს, რომ პირად ინტერესს წარმოადგენდა ,ხ. კ.-ს არ ჰქონოდა პრობლემა, გაეყიდა ბინა და ვალდებულება შეესრულებინა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ უფასოდ ეხმარებოდა საჩივრის ავტორს, როგორც მეზობელს, გაჭირვებულს და ობოლი ბავშვების დედას. გამოსახლების ეტაპზეც გაჰყვა, როგორც მძღოლი და გამოასახლებინა ბინაში უკანონოდ მყოფი პირები. ამას ადასტურებს 2010 წლის 19 ოქტომბრის გამოსახლების ოქმი. ადვოკატის განმარტებით, ის რომ ევარაუდა, რომ შეიძლებოდა მისი მეუღლის და ქალბატონი ხ. კ.-ს ინტერესები გადაკვეთილიყო, ის საერთოდ ახლოს არ გაეკარებოდა ამ საქმეს. იმ პერიოდში, როდესაც მან დააკმაყოფილა ქალბატონი ხ. კ.-ს საარბიტრაჟო პრეტენზია, მის მეუღლეს ჰქონდა გადაწყვეტილება სხვა არბიტრაჟში, იმიტომ, რომ მისი მეუღლე იყო და სხვა არბიტრაჟმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც აღარ აღსრულდა იმის გამო, რომ ხ. კ.-ის გადაწყვეტილება აღსრულდა. ამიტომ ხელახლა გაუხდათ სადაო სასამართლოში, იმის მერე, რაც ხ. კ. გახდა უძრავი ქონების მესაკუთრე და ადვოკატის მეუღლემ - მ. ბ.მ გადაწყვეიტა საკუთარი უფლების რეალიზება სასარჩელო გზით ნ. გ.-წინააღმდეგ.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის საპროცესო კოლეგიის პოზიცია

3.1 2012 წლის 03 იანვარს მესამე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ნ. კ.-მ, როგორც კერძო არბიტრაჟის თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო პრეტენდენტ ხ. კ.-ის საქმეში და შემდეგ ამავე საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისას, ახორციელებდა მის საადვოკატო მომსახურებას, სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი. ასევე, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი ნ. კ. იგივე საქმეზე ახორციელებდა მისი მეუღლის - მ. ბ.-ის ინტერესების დაცვას და მოქმედებდა ყოფილი კლიენტის - ხ. კ.-ის ინტერესების საწინააღმდეგოდ, სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი.

4. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

ეთიკის კომისიის მეხუთე დისციპლინურმა კოლეგიამ განხილვის სხდომა ჩაატარა 2012 წლის 01 მარტს და იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 36-ე მუხლით, 2012 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფატობრივი გარემოებები

5.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.1.1 ადვოკატმა ნ. კ.-მ, როგორც მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის – შპს ,სამოქალაქო საქმეთა არბიტრაჟის ,,ი. X“ თამჯდომარემ 2009 წლის 15 მაისს მიიღო გადაწყვეტილება ხ. კ.-ის საარბიტრაჟო პრეტენზიის თაობაზე (მოპასუხე – ნ. გ., დავის საგანი – თანხის დაკისრება და იპოთეკის საგნის რეალიზაცია).

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2009 წლის 15 მაისი - მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის - შპს ,,სამოქალაქო საქმეთა არბიტრაჟი ,,ი. X“ გადაწყვეტილება, თავმჯდომარე ნ. კ., პრეტედენტი ხ. კ., მოპასუხე- ნ. გ. ს.ფ. 11-14

5.1.2 ხ. კ.-მ 2009 წლის 31 ივლისს ხ. კ.-მ მიმართა განცხადებით ნოტარიუსს 2009 წლის 02 ივნისს რეგისტრირებული რწმუნებულების გაუქმების მოთხოვნით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ხ. კ.-ის 2009 წლის 31 ივლისის განცხადება ს.ფ. 34

5.1.3 ხ. კ.-მ ნ. კ.-ს 2010 წლის 27 მაისს მიანიჭა რწმუნებულება 2 კვირის ვადით, ხოლო 2010 წლის 01 ივლისს – 2 თვის ვადით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. რწმუნებულება (რეგ. თარ. 25.05.2010, რეგ. ნომ., ს.ფ. 36–37)
2. რწმუნებულება (რეგ. თარ. 25.05.2010, რეგ. ნომ., ს.ფ.38–39)

5.1.4 ადვოკატი ნ. კ. იცავდა ხ. კ.-ის ინტერესებს ბ. შ.-ის სარჩელის გამო წარმოებულ დავაში და დაეხმარა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების აღსრულებაში.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ადვოკატ ნ. კ.-ის ახსნა–განმარტება (ეთიკის კომისიის 2012 წლის 26 დეკემბრის განხილვის სხდომის ოქმი, მე–6 გვ. მე–5 აბზაცი)

5.1.5 ადვოკატი ნ. კ. წარმოადგენდა მეუღლის – მ. ბ.-ის ინტერესებს 2011 წლის 15 ივნისიდან თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში ხ. კ.-ის წინააღმდეგ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე. მ. ბ.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. რწმუნებულება (რეგ. თარ. 15.06.2011, რეგ. ნომ., ს.ფ. 311)
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №X/XXXX–XX, ს.ფ. 53–61
3. ხ. კ.-ის ახსნა–განმარტება (ეთიკის კომისიის 2012 წლის 26 დეკემბრის განხილვის სხდომის ოქმი, მე–4 გვ. მეორე აბზაცი)

4. ადვოკატ ნ. კ.-ის ახსნა–განმარტება (ეთიკის კომისიის 2012 წლის 26 დეკემბრის განხილვის სხდომის ოქმი, მე–9 გვ. პირველი აბზაცი)

5.2 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებებია:

5.2.1 ნ. კ. ხ. კ.-ს საადვოკატო მომსახურებას როდიდან უწევდა და რაში გამოიხატა გაწეული სამართლებრივი დახმარება.

ეთიკის კომისიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, ვინაიდან საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ნ. კ.-ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებებთან დაკავშირებით.

ა) საჩივრის ავტორის, ხ. კ.-ის პოზიციის თანახმად ნ. კ. ახორციელებდა მის საადვოკატო მომსახურებას 2008 წლიდან, რაც გამოიხატა სამართლებრივ კონსულტაციაში, საარბიტრაჟო პრეტენზიის შედგენაში, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სააღსრულებო წარმოებაში მონაწილეობაში, ბ. შ.-ის წინააღმდეგ მისი ინტერესების დაცვაში, გამოსახლებაში მონაწილეობით.

ბ) საპროცესო კოლეგიასთან გასაუბრებაზე და განხილვის სხდომაზე ადვოკატის განმარტებით, იგი 2010 წლიდან უწევდა ხ. კ.-ს დახმარებას, მაგრამ არა როგორც კლიენტს, არამედ როგორც მეზობელსა და გაჭირვებულ ადამიანს, რომლის დახმარების სურვილიც ამოძრავებდა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ ხ. კ.-ის მიერ წარმოდგენილი რწმუნებულების გაუქმების ცნობა არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ 2009 წლის 02 ივნისს რწმუნებულება მის სახელზე გაიცა და მოცემულ რწმუნებულებას საქმესთან კავშირი არ აქვს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ აღსრულების დასრულებამდე ხ. კ.-ისთვის სამართლებრივი დახმარება არ გაუწევია. ეთიკის კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი პოზიციის თანახმად, როდესაც ადვოკატი საქმეზე იღებს პასუხისმგებლობას, ის ბოლომდე უნდა მიიყვანოს. მათ შემთხვევაში ეს არ იყო ადვოკატისა და კლიენტის კლასიკური ურთიერთობა, ვინაიდან ხ. კ. რწმუნებულებას მაშინ უფორმებდა, როცა მას დახმარება სჭირდებოდა. 2009 წლის 2 ივნისის რწმუნებულების საფუძველზე, ადვოკატს არანაირი მოქმედება არ ჩაუტარებია. ადვოკატის განმარტებით, ვარაუდის დონეზე შეუძლია განმარტოს, რომ როდესაც აჭარაში მიჰყავდა ქალბატონები პირველი რწმუნებულება შეიძლება მაშინ გააკეთებინა ხ. კ.-ს. 2010 წლის 27 მაისის ორკვირიანი რწმუნებულებისა და 2010 წლის 1 ივლისის ორთვიანი რწმუნებულების გაფორმება ემსახურებოდა ბ. შ.-სთან დავაში ხ. კ.-ის ინტერესების დაცვას. სამართლებრივი კონსულტაციის შესახებ, ადვოკატი აღნიშნავს, რომ სამართლებრივი სტატუსი ხ. კ.-ს მაშინ გააცნო, როდესაც მასთან მივიდა ქალბატონი და დოკუმენტაციას გაეცნო, კერძოდ საქმის გართულების შემდეგ, როდესაც ნ. გ. ფულს არ იხდიდა, ადვოკატმა ჩახედა ხ. კ.-ის საქმის მასალებს, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერს. ნ. გ.- სახელზე ირიცხებოდა 76 კვ. მ. მიწის ნაკვეთი, რომელზეც აღმართული

იყო 130 კვადრატული მეტრი შენობა-ნაგებობა. ამ ფართობში 10 000 (ათი ათასი) ევროს და 14 500 (თოთხმეტი ათას ხუთასი) ევროს ჩადება მიზანშეწონილად არ მიიჩნია, მაგრამ ეს იყო ქალბატონების ინიციატივა. ადვოკატის განმარტებით, იგი პირველად 2009 წელს გაეცნო დოკუმენტაციას და უთხრა კიდეც ხ. კ.-ს, თუ რაში ჰქონდა თანხა ჩადებული.

გ) ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ეთიკის კომისიის სხდომაზე ადვოკატის მიერ განმარტებული პოზიციები ხ. კ.-ისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევის შესახებ განსხვავებულია სხდომამდე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებებისაგან. ეთიკის კომისიის განხილვის სხდომაზე ადვოკატი აღნიშნავს, რომ ხ. კ.-ის დოკუმენტებს გადახედა და რჩევა მისცა, მას შემდეგ, რაც ნ. გ. ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას არ ასრულებდა, შესაბამისად, ეს წინ უსწრებდა ხ. კ.-ის მიერ საარბიტრაჟო პრეტენზიის შეტანას. ასევე, ადვოკატი უარყოფდა 2009 წლის 02 ივნისის რწმუნებულების მის სახელზე გაცემას, რაც შემდეგ დაადასტურა. ასევე, ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ 2009 წლის 02 ივნისს რწმუნებულების ადვოკატ ნ. კ.-ის სახელზე გაცემა ემთხვევა კერძო არბიტრაჟის შპს სამოქალაქო საქმეთა არბიტრაჟის ,,ი. X"-ის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღს. ადვოკატის განმარტებით, ხ. კ.-ს მომსახურება გაუწია ბ. შ.-ის სარჩელის გამო და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საქმეში.

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, ,,საადვოკატო საქმიანობა მოიცავს იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი)." ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება ჯერ კიდევ პოტენციური კლიენტისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მომენტიდან. შესაბამისად, 2009 წელს ხ. კ.-ისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევისას ნ. კ.-სა და ხ. კ.-ს შორის წარმოიშვა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა.

ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს ადვოკატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან იგი უსასყიდლოდ, როგორც ფინანსურად გაჭირვებულ ადამიანს, ისე ეხმარებოდა ხ. კ.-ს, იგი არ ითვლება მის კლიენტად. თუნდაც დადგინდეს, რომ საადვოკატო მომსახურება სასყიდლიანი არ იყო, ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას, მიუხედავად იმისა, ანაზღაურდება თუ არა მის მიერ განხორციელებული სამუშაო. შესაბამისად, ადვოკატ ნ. კ.-სა და ხ. კ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა წამოშობილად ითვლება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სააღსრულებო ეტაპზე წარმომადგენლობის განხორციელებისას და ადვოკატს ეკისრება იმ სტანდარტების დაცვა, რაც დადგენილია ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით.

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ სააღსრულებო ფურცლის გაცემისა და ამავე დღეს ნ. კ.-ის სახელზე რწმუნებულების გაცემა, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ადვოკატი ამბობს ეს რწუნებულება არ გამოუყენებიათ, აჭარის სააღსრულებო ბიუროში წასვლა გამოხატავს ადვოკატის მზაობას განახორციელოს იურიდიული ქმედებები და საკმარისია ეთიკის კომისიისათვის დასაბუთებული ვარაუდის შესაქმნელად, რომ ადვოკატი ნ. კ. საჭიროების შემთხვევაში სამართლებრივი მომსახურებას გაუწევდა ხ. კ.-ს სააღსრულებო წარმოების პროცესში.

ეთიკის კომისია დადგენილად მიიჩნევს, რომ ადვოკატი ნ. კ. ხ. კ.-ის საადვოკატო მომსახურებას 2009 წლიდან ახორციელებდა, რაც გამოიხატა სამართლებრივ კონსულტაციაში, არბიტრაჟის გადაწყვეტილების სააღსრულებო წარმოებაში მონაწილეობისათვის თანხმობაში, ბ. შ.-ის წინააღმდეგ ხ. კ.-ის ინტერესების დაცვაში, გამოსახლების მიზნით განცხადებათა მომზადებაში.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება (---)
2. ადვოკატის ახსნა-განმარტება (---)
3. ხ. კ.-ის 2009 წლის 31 ივლისის განცხადება ს.ფ. 34
4. მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი შპს ,,სამოქალაქო საქმეთა არბიტრაჟი ,,ი. X“ -ის სააღსრულებო ფურცელი, 02.02.2009, ს.ფ 127-128

6 შემაჯამებელი დასკვნა

საქართველო ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. კ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7 სამართლებრივი შეფასება

7.1 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. კ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

7.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი: ,,დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი“.

7.1.2 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ,,ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ".

7.2 ეთიკის კომისია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმეზე (1996 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/1/10) ,,ილია ანდრიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" დაყრდნობით, განმარტავს, რომ ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევაზე, როდესაც პირი ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას და იმავე საქმეში მონაწილეობას იღებდა, როგორც არბიტრაჟის თავმჯდომარე, რადგან საქართველოს რადგან საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის 1-ლი პუნქტიდან გამომდინარე არბიტრაჟის მიერ კერძო სამოქალაქო დავის განხილვა და გადაწყვეტა სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს და, შესაბამისად, საარბიტრაჟო დავის განმხილველი არბიტრი ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტში მოხსენიებულ მოსამართლესთან უნდა იქნეს გათანაბრებული.

7.3 ეთიკის კომისიამ დისციპლინურ საქმეზე №026/11, 2011 წლის 07 აპრილის გადაწყვეტილებით დაადგინა: ,,ადვოკატმა უნდა შეწყვიტოს პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელსაც უკავშირდება მის მიერ კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება (მოსამართლის, პროკურორის და ა.შ) და კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია ინტერესთა შეუთავსებლობის თაობაზე."

7.4 ადვოკატმა ნ. კ.-მ, როგორც მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის - შპს ,,სამოქალაქო საქმეთა არბიტრაჟი ,,ი. X" თავმჯდომარემ, განიხილა პრეტედენტ ხ. კ.-ის საარბიტრაჟო პრეტენზია მოპასუხე ნ. გ.- მიმართ და 2009 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა მოთხოვნა. საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენამდე, ნ. კ.-მ, როგორც ადვოკატმა სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია ხ. კ.-ს, ხოლო 2009 წლის 02 ივნისს მის სახელზე გაიცა რწმუნებულება, რომელიც გაუქმდა იმავე წლის 31 ივლისს. რწმუნებულება გაიცა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის დღეს.

7.5 ეთიკის კომისია ადვოკატის პროფესიული ეთიკიდან გამომდინარე განმარტავს ,,იმავე საქმეზე" საადვოკატო მომსახურების განხორციელებას და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების დარღვევად მიიჩნევს ურთიერთიერთდაკავშირებულ საქმეზე წარმომადგენლობის განხორციელებასაც. მოცემულ შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს დაკავშირებულ საქმედ. ადვოკატმა ნ. კ.-მ არ დაიცვა კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები და არ მიაწოდა ხ. კ.-ს ინფორმაცია, რომ მოცემულ საქმესთან დაკავშირებულ საქმეზე ინტერესთა კონფლიქტის გამო ვერ გაუწევდა საადვოკატო მომსახურებას.

7.6 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა კლიენტის წარმომადგენლობისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტი უნდა წარმოადგინოს ისე,

როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარისა და დროის არსებობის შემთხვევაში.

7.7 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშვება თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ.

7.8 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 04 თებერვლის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №092/10 ფართოდ განმარტა ,,ერთი და იგივე" საქმის ცნება და ასეთად მიიჩნია არსობრივად ურთიერთდაკავშირებული საქმეც, ვინაიდან ამ დროს ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას, ასევე წარმოიშობა ობიექტური საფრთხე იმისა, რომ ადვოკატი დაარღვევს ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულებას ან რისკის ქვეშ დადგება მის მიერ კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობა.

7.9 ეთიკის კომისიამ დისციპლინურ საქმეზე №092/10, 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით დაადგინა: ,,ადვოკატმა, რომელიც ახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას, არ უნდა წარმოადგინოს სხვა პირი იმავე ან არსებითად დაკავშირებულ საქმეში, სადაც ამ უკანასკნელის ინტერესები არსებითად საწინააღმდეგოა ყოფილი კლიენტის ინტერესებისა, გარდა შემთხვევისა, როდესაც კონსულტაციის შედეგად ყოფილი კლიენტი განაცხადებს თანხმობას. ....საადვოკატო საქმიანობის პრინციპებისა და იურიდიული პროფესიის კორპორატიული ინტერესის გათვალისწინებით, ადვოკატს მოეთხოვება ქმედების იმგვარი სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტის, მათ შორის ყოფილი კლიენტის ინტერესების პატივისცემას და ყოფილი კლიენტის საქმეზე ან ამ საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების კონფიდენციალობის დაცვას."

7.10 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი ნ. კ. თავდაპირველად წარმოადგენდა ხ. კ.-ის ადვოკატს ბ. შ.-ის წინააღმდეგ წარმოებულ დავაში. ადვოკატის ჩართულობა კლიენტის საქმეში გამოიხატა სამართლებრივი კონსულტაციებით, ხ. კ.-ის სახელით გამოსახლების თაობაზე განცხადების დაწერასა და სასამართლო წარმოებაში, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნით. ხ. კ.-თან ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ნ. კ. გახდა საკუთარი მეუღლის - მ. ბ.-ის, ამავე უძრავი ქონების პირველი რიგის იპოთეკარის, ადვოკატი, ყოფილი კლიენტის ხ. კ.-ის წინააღმდეგ, სესხის თანხის დაკისრებისა და ქ. ბათუმში, დ.-ს ქ. #X-ში მდებარე იპოთეკით დატვირთული ბინის რეალიზაციის შესახებ წარმოებულ დავაში თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოებში.

7.11 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ის საქმეები, რომელსაც ადვოკატი აწარმოებდა მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით ერთი და იგივე საქმეს არ წარმოდგენდა, ადვოკატის პროფესიული ეთიკის თვალსაზრისით, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულებისათვის მიიჩნევა არსებითად ურთიერთდაკავშირებულ საქმედ. ადვოკატი ნ. კ. წარმოდგენდა ხ. კ.-ის, მეორე რიგის იპოთეკარის ინტერესებს ქ. ბათუმში, დ.-ს ქ. #X მდებარე ბინასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამართლებრივი

საკითხის გადაწყვეტაში, შესაბამისად პირველი რიგის იპოთეკარის, მ. ბ.-ის მოთხოვნის სასამართლოს წესით დაყენებისას, შეიქმნა ობიექტური საფრთხე იმისა, რომ ადვოკატი დაარღვევდა ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულებას, დაკარგავდა ერთ-ერთი კლიენტის ნდობას ან რისკის ქვეშ დადგებოდა მის მიერ ერთ-ერთი კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობა.

7.12 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ კლიენტისა და ადვოკატის სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ადვოკატს კვლავ გააჩნია გარკვეული ვალდებულებები ყოფილი კლიენტის მიმართ, როგორიცა კონფიდენციალურობისა და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულებათა დაცვა.

7.13 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ, ერთის მხრივ, ყოფილ კლიენტთან მიმართებაში ადვოკატის მიერ აღნიშნული ვალდებულებების შესრულება და მეორეს მხრივ, არსებული კლიენტის ინტერესების დაცვა, ერთმანეთის კონკურენტულია და წარმოიშვება ადვოკატის მიერ ერთ-ერთი ვლდებულების დარღვევის საფრთხე, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს ყოფილი კლიენტის ან არსებული კლიენტის ინტერესებზე.

7.14 ეთიკის კომისიამ საქმე # 015/10 2011 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ ,,ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ორივე ინტერესის (კონფიდენციალობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა) დაცვა თანაბრად მნიშვნელოვანია და ადვოკატმა თავი უნდა აარიდოს შემთხვევებს, როდესაც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დადგეს ერთ-ერთი ინტერესი“.

7.15 ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2000)21, რომელიც ადვოკატის პროფესიის განხორციელების თავისუფლების შესახებ პრინციპების ჩამონათვალში, ადვოკატის როლისა და მოვალეობების აღნიშვნისას, ადვოკატებს ავალდებულებს თავიდან აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი.

7.16 ეთიკის კომისიამ ასევე გაითვალისწინა ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საზოგადოებების საბჭოს (CCBE) მიერ ევროპელი ადვოკატებისთვის მიღებული ქცევის წესები, რომლის 3.2.3 მუხლი განსაზღვრავს: ,,ამასთან, ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს ახალი კლიენტის სახელით საქმიანობაზე, თუ არსებობს ყოფილი კლიენტის ადვოკატისადმი ნდობის დარღვევის რისკი ან თუ ყოფილი კლიენტის საქმეების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც ადვოკატი ფლობს, ახალი კლიენტისათვის არამართებულ უპირატესობას შეიძლება წარმოადგენდეს“.

7.17 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატს ეკრძალება საადვოკატო მომსახურების გაწევის შემდეგ იმ კლიენტისათვის სამართლებრივი დახმარება, რომელსაც ყოფილი კლიენტისაგან განსხვავებული, არსებითად საწინააღმდეგო პოზიცია გააჩნია იმავე ან სამართლებრივად დაკავშირებულ დავაში. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ განხორციელებული მომდევნო წარმომადგენლობა მოიცავდა ყოფილი კლიენტისათვის - ხ. კ.-ისათვის არახელსაყრელ პოზიციას. ადვოკატმა დაარღვია ვალდებულება თავი აერიდებინა ინტერესთა კონფლიქტისათვის ყოფილ კლიენტსა და ამჟამად არსებულ კლიენტს შორის. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ნ. კ. მ. ბ.-ის წარმომადგენლობას ახორციელებდა არსებითად

და სამართლებრივად დაკავშირებულ დავაში ხ. კ.-ის წინააღმდეგ. კერძოდ ადვოკატმა თავდაპირველად სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია ხ. კ.-ს, შემდეგ უწევდა სამართლებრივ დახმარებას ქ. ბათუმში, დ.-ს ქ. #X-ში მდებარე ბინაზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმები, გამოსახლების დავაში, რის შედეგადაც ყადაღა გაუქმდა, მაცხოვრებლები გამოასახლეს, მაგრამ ზეპირი შეთანხმების შემდეგ კვლავ შეასახლეს ბინაში. შემდეგ კი იგივე ბინის თაობაზე იცავდა მეუღლის, როგორც პირველი რიგის იპოთეკარის ინტერესებს, რის შედეგადაც მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდა და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

7.18 ისეთი კლიენტის ინტერესების დაცვისას, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება ძველი კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურებისას, ადვოკატი ვერ უზრუნველყოფს ერთის მხრივ არსებული კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვასა და მეორეს მხრივ, ძველი კლიენტის მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულებას. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას თითოეული კლიენტის მიერ მოწოდებული კონფიდენციალური ინფორმაცია და ამავე დროს ვალდებულია კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება. ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ორივე ინტერესის (კონფიდენციალობა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა) დაცვა თანაბრად მნიშვნელოვანია და ადვოკატმა თავი უნდა აარიდოს შემთხვევებს, როდესაც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დადგეს ერთ-ერთი ინტერესი.

7.19 ეთიკის კომისიამ შეაფასა ადვოკატ ნ. კ.-ის გადაწყვეტილება ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შემდეგ, მ. ბ.-ის ინტერესების წარმოდგენის თაობაზე და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. კ.-ს უფლება არ ჰქონდა წარმოედგინა მეუღლის ინტერესები, რადგან მ. ბ.-ის, პირველი რიგის იპოთეკარის მიერ მოთხოვნის დაყენებამდე, ადვოკატი წარმოადგენდა ხ. კ.-ის ინტერესებს და ფლობდა მისგან მიღებულ ინფორმაციას. შესაბამისად, ადვოკატის მიერ მ. ბ.-ის წარმომადგენლობა ქმნიდა ყოფილი კლიენტის ინფორმაციის კონფიდენციალურობის დარღვევის საფრთხეს და რისკის ქვეშ აყენებდა ადვოკატის მიერ არსებული კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერიო საშუალების გამოყენების შესაძლებლობას.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით; 35-ე მუხლით, „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტითა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 31-ე მუხლით, 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ /სიითი №/ დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვროს საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატს შეუძლია გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ.№32) მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე: /ეკატერინე გასიტაშვილი/

კომისიის წევრი: /მარინა კვაჭაძე/

კომისიის წევრი: /გიორგი ქოიავა/

კომისიის წევრი: /დავით კაკაბაძე/

კომისიის წევრი: /ირაკლი შონია/

კომისიის წევრი: /ლაშა ტუღუში/

კომისიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

კომისიის წევრი: /ემზარ პაქსაძე/

კომისიის წევრი: /გიგა კვერენჩხილაძე/

კომისიის წევრი: /კობა ბოჭორიშვილი/

კომისიის წევრი: /დავით კვაჭანტირაძე/

კომისიის წევრი: /ზურაბ ძლიერიშვილი/